

ქოზულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის

მიზნობრივი პროგრამა

2011 წელი

1. პროგრამის სახელწოდება: ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადებების მედიკამენტოზური დახმარების პროგრამა

2. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი 2011 წ.
31 დეკემბერ 2011 წ.

3. პროგრამის ბიუჯეტი:

33 653 (ოცდაცამეტი ათას ექვსას ორმოცდაცამეტი) ლარი

4. პროგრამის დაფინანსების წყაროები:

- ა) ძირითადი – ადგილობრივი ბიუჯეტი
- ბ) დამატებითი

33 653 ლარი
0 ლარი

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორბანო:

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახური.

6. პროგრამის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

პროგრამა ითვალისწინებს 18 წლამდე ეპილეფსიით დაავადებული ბავშვების წლის განმავლობაში ყოველდღიურად მისაღები სპეციფიკური მედიკამენტით უზრუნველყოფა. რომელიც მიზნად ისახავს ბავშვთა ავადობისა და დაინვალიდების შემცირებას. 2008 წელს აღნიშნული პროგრამით სარგებლობდა 55 ეპილეფსიით დაავადებული ბავშვი, 2009 წელს ისარგებლა 66 ბავშმა, ხოლო 2010 წელს 66 ბავშმა. 2011 წელს გათვალისწინებული არის 67 ბენეფიციარზე.

7. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ეპილეფსიით დაავადებული ბავშვებისა და მოზარდების სპეციალური მედიკამენტებით უზრუნველყოფა	მოცვის მაჩვენებელი
2	დაავადებული ბავშვების ოჯახების მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა	კმაყოფილების დონე

8. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	შექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	X											
2	მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
3	განცხადებების განხილვა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
4	მედიაკამენტების გაცემა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

9 . პროგრამის მოსარგებლე პირთა შერჩევა:

- 2010 წელს ამავე პროგრამით მოსარგებლე 18 წლამდე ბენეფიციარი
- 2011 წლის განმავლობაში შემოსული განცხადებები.

10. პროგრამის ბიუჯეტი:

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

№	წყაროს დასახელება	2011 წელი	2012 წელი	2013 წელი	სულ
	ძირითადი	33653			33653
	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი				
	დამატებითი	0	0	0	0
	სულ	33653	0	0	33653

12. პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასახელება (დეტალური გაშიფრული)	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	სავარაუდო ერთეულის ფასიერთეულის ფასი	სავარაუდო სულ ღონისძიების ხარჯი
2011 წელი					
I	საქონელი და მომსახურეობა				
ნატრიუმის ვალპროატი					
1	დეპაკინი ენტერიკი 300 მგ	აბი	4238	0,418	1771,484
2	დეპაკინი ქრონო 300 მგ	აბი	5475	0,672	3679,2
3	დეპაკინი ქრონო 500 მგ	აბი	14562	1,104	16076,448
4	დეპაკინი სიროფი 150 მლ	აბი	234	15,679	3668,886
კარბამაზეპინი (ფინლევსინი)					
1	კარბამაზეპინი 200 მგ.	აბი	2317	0,078	180,726
2	ფინლევსინი 200 მგ.	აბი	12535	0,156	1955,46
3	ფინლევსინი რეტარდი 200 მგ.	აბი		0,262	
4	ფინლევსინი რეტარდი 400 მგ	აბი	1324	0,317	419,708
1	ტოპამაქსი 25 მგ.	აბი		0,874	
2	ტოპამაქსი 100 მგ	აბი	330	3,777	1246,41
3	ტოპეპსილი 25 მგ.	აბი		0,874	
4	ტოპეპსილი 100 მგ	აბი	2511	1,854	4655,394
					33653,716

13. საანბარიშო პერიოდში პროგრამის შარბლებში ბანსასორციელებელი სახელმწიფო შესყიდვები

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვის დაგეგმილი თანხა	შენიშვნა
1	ინდივიდუალური მედიკამენტებით უზრუნველყოფა	2011 წელი I კვარტალი	გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	34 000	

დამატებითი ინფორმაცია:

გამგეობას უფლება აქვს ცალკეული კვარტალების მიხედვით არათანაბარი შესრულების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურთან შეთანხმებით გადაანაწილოს პროგრამის ბიუჯეტის კვარტალური გაყოფა.

ა) დამტკიცებული ხარჯების კვარტალური განაწილება

1 კვარტალი 9000 ლარი, 2 კვარტალი 9000 ლარი,

3 კვარტალი 8000 ლარი, 4 კვარტალი 7653 ლარი

ბ) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

1. ბენეფიციარი მომართავს გამგეობას განცხადებით

2. გამგებლის ან გამგებლის მოადგილის რეზოლუციის თანახმად ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური უმზადებს წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ექიმის მიერ გაცემული ფ-100-ის საფუძველზე მიმართვის პროექტს გამგებელს ხელშეკრულებით მომსახურე აფთიაქზე, სადაც მითითებულია ბენეფიციარის მონაცემები და მედიკამენტის ზუსტი დასახელება. ასევე წლის განმავლობაში ბენეფიციარზე გასაცემ მედიკამენტის გაცემის გრაფიკი დღისა და თვის მედიკამენტის ოდენობის მითითებით.

3. მედიკამენტების შესყიდვის მოცულობა ხდება ინდივიდუალურად ფორმა 100-ში მითითებული მედიკამენტების მიხედვით ხელშეკრულებით გათვალისწინებული მედიკამენტების ჩამონათვალის ფარგლებში.

შესყიდვა განხორციელდება “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დაფინანსება განხორციელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და სააფთიაქო დაწესებულებას შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით.

პროგრამის “მიმწოდებლის“ დაფინანსება განხორციელდება ყოველთვიურად ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობით მაგრამ არა უმეტეს ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოს დაფინანსების დამტკიცებული მოცულობისა.

4. ბენეფიციარის 18 წლის შესრულების შემთხვევაში მედიკამენტები ეძლევა ასაკის შესრულების თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით.

გ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ის ბავშვები და რომლებიც სარგებლობდნენ აღნიშნული პროგრამით 2010 წელს და წარმოდგენილი აქვს სათანადო დოკუმენტები, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყოველ ბავშვს, რომელიც არის დაავადებული ეპილეფსიით, მომართავს მუნიციპალიტეტის გამგეობას განცხადებით და წარმოადგენს შემდეგ დოკუმენტს:

1. განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე
2. მშობლის ან მეურვის პირადობის მოწმობის ასლი
3. ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი
4. სამედიცინო ფორმა №100 (დედანი)

